

**ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის  
პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა“ და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე.
- წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში-კოლეჯი) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს.

**მუხლი 2. სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების პრინციპები**

- კოლეჯში პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:
  - ვალიდურობა;
  - სანდოობა;
  - გამჭვირვალობა;
  - სამართლიანობა;
  - ობიექტურობა.

**2.პრინციპების განმარტება:**

- ვალიდურობა - შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია შესაფასებელი სწავლის შედეგის დასადასტურებლად. შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტი უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
- ვერიფიკატორი შეფასების სისტემის ვალიდურობის დადგენის მიზნით შეისწავლის:

- შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას, მოდულის სწავლის შედეგით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებასთან;
  - რამდენად სრულფასოვნად აფასებს შეფასების ინსტრუმენტი შესაფასებელ სწავლის შედეგებს მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
- სანდოობა - შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. ვერიფიკატორი შეფასების სისტემის სანდოობის დადგენის მიზნით შეისწავლის:
    - ყველა სწავლის შედეგისათვის თითოეული შეფასებული პირისათვის მტკიცებულების არსებობას;

- მტკიცებულების ავთენტურობას - საჭიროების შემთხვევაში შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას;
  - მტკიცებულების საკმარისობას - მტკიცებულების მიხედვით დავალების ყველა კრიტერიუმთან შეესაბამისობას;
  - მტკიცებულების ვალიდურობას - შესაფასებელ ინსტრუმენტთან სრულად თავსებადობას.
- გ) გამჭვირვალეობა - შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის;
- დ) სამართლიანობა - შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პროფესიულ სტუდენტს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის, შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში იყოს ჩაყენებული.

### **მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა და შეფასების ტიპები**

1. მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება არსებობს:
  - ა) განმავითარებელი;
  - ბ) განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია რამდენიმე გზით:
  - ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა, დიპლომის მიხედვით აღიარება);
  - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
  - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით. მოდულის ფარგლებში სტუდენტის შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველი სწავლის შედეგის ცალ-ცალკე - ასევე, მოდულის ყველა სწავლის შედეგის ერთად მოდულის დასრულების შემდეგ შეფასებისათვის განკუთვნილი დროის განმავლობაში.

5. განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გააგრძელოს სწავლა შემდგომ მოდულზე, თუ მას დადასტურებული არ აქვს წინა მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი, და ამასთან, თუ წინა მოდული არ წარმოადგენს შემდგომი მოდულის გავლის წინაპირობას. თუ პროფესიულ სტუდენტს დადასტურებული არ აქვს წინა მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგ(ებ)ი, და ამასთან, წინა მოდული წარმოადგენს შემდგომი მოდული გავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება არ აქვს, გააგრძელოს სწავლა შემდგომ მოდულზე და მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

6. ონლაინ სწავლებისას, მოდულის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელია შეფასება განხორციელდეს ონლაინ რეჟიმში განხორციელებული შეფასების დროს სტუდენტის იდენტიფიცირებისთვის სავალდებულოა კამერის ჩართვა, წინაღმდეგ შემთხვევაში შეფასება ვერ განხორციელდება.

7. ზეპირი გამოკითხვის შემთხვევაში, შეიძლება შეფასებას ესწრებოდეს დარგის მეორე სპეციალისტი/კოლეჯის წარმომადგენელი სანდოობისა და ობიექტურობის დადასტურების მიზნით.

#### **მუხლი 4. შეფასების ინსტრუმენტი და მისი შერჩევა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.
2. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელს.

3. შეფასების ინსტრუმენტი შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ა) პროგრამის დასახელება;
- ბ) მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი;
- გ) შესაფასებელი სწავლის შედეგი/შედეგები;
- დ) შესაფასებელი შესრულების კრიტერიუმები/ები;
- ე) შეფასების მიმართულება;
- ვ) შეფასების ინსტრუმენტის დასახელება;
- ზ) შეფასების პროცესის აღწერა (დავალების მოკლე აღწერა), რომლის საშუალებითაც პროფესიული სტუდენტი დაადასტურებს შესაბამისი შესრულების კრიტერიუმების ცოდნას
- თ) შეფასების მტკიცებულების სახე;
- ი) შეფასებისათვის განკუთვნილი დრო;
- კ) სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმების დადასტურების პირობა;
- ლ) განმეორებითი შეფასების პირობები;
- მ) შეფასების ინსტრუმენტების ავტორი;
- ნ) ინსტრუმენტის შემფასებელი;

4. განმსაზღვრელი შეფასების განხორციელებამდე პროფესიული მასწავლებელი შეიმუშავებს შეფასების ინსტუმენტს, რომელიც უნდა შეირჩეს და შემუშავდეს მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების (პროცესზე დაკვირვება, პროდუქტი/შედეგის შეფასება, გამოკითხვა) და სწავლის შედეგის შესაბამისად. პროფესიული მასწავლებელი შეფასების მიმართულების შესაბამისად არჩეულ ინსტრუმენტში სრულად ასახავს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგებითა და შესრულების კრიტერიუმებით განსაზღვრულ საკითხებს. (დანართი 1.)

## მუხლი 5. შეფასების პროცედურა

1. მოდულური პროგრამების კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება ამ დოკუმენტით, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.
2. პროფესიული სტუდენტის ყოველკვირეული სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით. პროგრამის დაწყებამდე სასწავლო გეგმის საფუძველზე დგება მოდულების დაწყება-დამთავრების განრიგი. პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო გეგმისა და მოდულის საფუძველზე შეიმუშავებს კალენდარულ გეგმას (დანართი 3-ის მიხედვით), რომელსაც ათანხმებს სასწავლო პროცესის მენეჯერთან/დირექტორის მოადგილესთან სასწავლო დარგში მოდულის განხორციელების დაწყებამდე.
3. მოდულურ პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პროფესიული სტუდენტის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
4. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.
5. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
6. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შემთხვევაში, სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება განხორციელდება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8. პროფესიული მასწავლებელი შეფასების შედეგებს ასახავს შეფასების საერთო უწყისში (დანართი 2) და პროფესიული მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შედეგებს აცნობს პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადადასტურების შესახებ ინფორმაციას.
9. პროფესიულ სტუდენტს, სწავლის შედეგის/შედეგების არდადასტურების მიღების შემთხვევაში, უფლება აქვს, გააპროტესტოს მიღებული შედეგი და, შედეგის გაცნობიდან არაუგვიანეს 2 დღისა, მიმართოს კანცელარიას წერილობითი განცხადებით, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის მომდევნო სამუშაო დღეს გადაეცემა შესაბამის შემფასებელ პირს.
10. შემფასებელი ვალდებულია, 2 დღის ვადაში გაეცნოს განაცხადის შინაარსს, განმეორებით განიხილოს სტუდენტის ნამუშევარი, რის შემდგომაც:

ა) შეცვალოს პროფესიული სტუდენტის შეფასება, თუკი სტუდენტის პრეტენზია დასაბუთებული და ობიექტურია ან

ბ) დატოვოს ძალაში, თუკი დასაბუთებულად წარმოადგენს განმსაზღვრელი შეფასების ობიექტურობას.

გ) მოახდინოს რეაგირების/ გადაწყვეტილების დოკუმენტირება.

11. სტუდენტი უფლებამოსილია, აპელაციის შედეგად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დამატებით გაასაჩივროს.

12. პროფესიული სტუდენტის მიერ უარყოფითი შედეგის მიღების ან გამოცდაზე არ გამოცხადების შემთხვევაში, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში გეგმავს და წარმართავს განმეორებითი შეფასების პროცესს პროფესიულ მასწავლებლთან შეთანხმების საფუძველზე.

13. კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში განსაზღვრავს დამატებითი (განმეორებითი) შეფასების ვადებს, რომლის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის შედეგ(ებ)ის დამატებითი (განმეორებითი) სწავლის შედეგის დადასტურებაზე დაშვების შესახებ.

14. განმეორებითი ვადის შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს ეცნობებათ არა უგვიანეს 2 კვირისა. პროფესიული მასწავლებელის ანდა სასწავლო პროცესის სამსახურის მიერ.

15. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, შემფასებლად გამოიყოს შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები.

16. განმეორებითი შეფასებისას, მასწავლებელი უფლებამოსილია გამოიყენოს იგივე ან მოდიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტი.

17. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის ყველა სწავლის შედეგი.

18. პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში ტარდება კვალიფიკაციის მიმნიჭებული კომისიის სხდომა, რომელზეც დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში წარადგენს პროგრამის შემაჯამებელ უწყისს, რომელშიც თავმოყრილია პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის შეფასების შედეგები ყველა სტუდენტზე.

19. კომისია განიხილავს წარმოდგენილ პროგრამის შემაჯამებელ უწყისს და განხილვის საფუძველზე დგება კვალიფიკაციის მიმნიჭებული კომისიის სხდომის ოქმი, რომლის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

20. იმ სტუდენტებზე, რომლებიც ვერ დაადასტურებენ ერთ ან მეტი მოდულის სწავლის შედეგებს, დირექტორის გადაწყვეტილებით გაიცემა სერტიფიკატი.

21. იმ სსსმ სტუდენტებზე, რომლებსაც დასჭირდებათ ნებისმიერი მოდულის ერთი ან მეტი სწავლის შედეგის გამარტივება, ასევე გაიცემა სერტიფიკატი კოლეჯის მიერ. (დანართი № 8 და დანართი №9 შესაბამისად)

22. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, დაესწროს მებაღეობის პროგრამის დარგობრივი მოდულების საკონტაქტო საათების მინიმუმ 80%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ დაიშვება გამოცდაზე.

23. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გაცდენილი საათები აღადგინოს გამოცდის დანიშვნამდე პროფესიულ მასწავლებელთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

23. 80%-ის გაცდენისა და არაღდგენის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე.

24. კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის კონკრეტულ გამოცდაზე არდაშვების თაობაზე. (22-23-24 პუნქტები ვრცელდება ბრძანების გამოცემის შემდგომ დაწყებულ მოდულებზე).

მუხლი 6. ვერიფიკაციის მექანიზმი და მისი ეტაპები

1. ვერიფიკაციის მექანიზმი არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. ვერიფიკაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) ვერიფიკაციის გეგმის შედგენა
- ბ) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია - ვალიდაცია
- გ) შეფასების პროცესში ვერიფიკაცია;
- დ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
3. ვერიფიკაციის პირველი ეტაპია ვერიფიკაციის გეგმის შედგენა - ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდს, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ყველა შემადგენელ პროცედურას.
4. ვერიფიკაციის პროცესში შესაძლებელია გამოიკვეთოს შემდეგი რისკები:
- ა) დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- ბ) ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
- გ) სხვა გარემოებები;
5. ვერიფიკაციის პროცესში ჩართულია კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი.
6. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია-ვალიდაცია - შეფასების მიმართულებასთან ინსტრუმენტის შესაბამისობის დადგენა, ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით, გამოსაყენებელი აღჭურვილობისა და მასალების ადეკვატურობის შეფასება.
- ა) კოლეჯში შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია იწყება პირველივე მოდულების შეფასების ინსტუმენტების წარმოდგენისას.
- ბ) შეფასების განხორციელებამდე მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს/დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.
- გ) ვერიფიკატორი ადასტურებს მოდულის შეფასების ინსტრუმენტში ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალებისა და სცენარის, შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან.
- დ) შეფასების ინსტრუმენტის ხარვეზის დადგენისათვის ვადაა 2 (ორი) დღე.
- ე) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.
- ვ) შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება, რომელზეც მითითებული უნდა იყოს „შეთანხმებულია“ შესაბამისი თარიღის მითითებით.
- ზ) შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება/გადახედვა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების გასაჩივრების სისტემატური მომართვიანობის შემთხვევაში.
- თ) შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში (მტკიცებულებების ვერიფიკაციის დროს) დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ანდა სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ან/და პროფესიული განვითარების/გადამზადების შესახებ.
- ი) შეთანხმებულ ინსტრუმენტს პროფესიული მასწავლებელი შეფასების განხორციელებამდე აცნობს

პროფესიულ სტუდენტს.

7. შეფასების პროცესის ვერიფიკაცია - ამ ეტაპზე ვერიფიკატორი შეისწავლის:

- ა) შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს;
- ბ) შეფასებისათვის გამოყოფილი დროის საკმარისობას;
- გ) შეფასებისათვის საჭირო გარემოს შესაბამისობას;
- დ) შეფასებისათვის გათვალისწინებული შესაბამისი აღჭურვილობითა და მასალებით უზრუნველყოფას;
- ე) შეფასების პროცესის განსაზღვრული პირობების დაცვით განხორციელებას.

8. მტკიცებულებების ვერიფიკაცია - ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში ვერიფიცირების პროცესის დაწყებამდე 3 სამუშაო დღით ადრე აწვდის ინფორმაციას პროცესის დაწყების შესახებ და გამოითხოვს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების დადასტურებისას გამოყენებულ შეფასების ინსტრუმენტებსა და მტკიცებულებებს. ამით ხდება მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობისა და მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება, მტკიცებულებათა საკმარისობისა და ვალიდურობის შეფასება, და მტკიცებულებათა შეფასების ობიექტურობა.

9. ვერიფიკაციის დასკვნის შედგენა და გაცნობა- ვერიფიკაციის დასკვნის შედგენაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური. დასკვნა მიეწოდება დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, პროგრამის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, შეფასების ინსტრუმენტის ავტორს, შემფასებელს.

8. რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა - ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით, საჭიროების შემთხვევაში, ადგენერ რეკომენდაციების შესრულების გეგმას და რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება კოლეჯის დირექტორს, შეფასების ინსტრუმენტის შემდგენელსა და შემფასებელს.

9. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშგება - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს მონიტორინგს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

#### მუხლი 7. მოთხოვნები მტკიცებულების მიმართ

1. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებზე დაყრდნობით განიხილავს, შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დაგალების თანმიმდევრულად შესრულება. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ავთენტური/სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური და საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი.

1. ავთენტური - მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის ნამდვილად შესრულებულია პროფესიული სტუდენტის მიერ. პროფესიული განათლების მასწავლებელი დარწმუნებული იყოს მტკიცებულების ავთენტურობაში, რათა შეფასების შედეგი სანდო იყოს შეფასების სისტემაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისთვის.

2. ვალიდური - მტკიცებულება ვალიდურია, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასდეს.

3. საკმარისობა - მტკიცებულება საკმარისია, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება სწავლის შედეგების შესაბამისად. ეს მახასიათებელი არის იმის გარანტია, რომ პროფესიულ

სტუდენტს შეუძლია ამოცანები შეასრულოს დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან შეფასების პროცესში, არამედ სამუშაო ადგილზეც.

4. სამართლიანობა/ობიექტურობა - შეფასება სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

მუხლი 8. სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი

1.პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შესაძლებელია არსებობდეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით;

2.მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიული მასწავლებელი შეფასების უწყისებს წარმოადგენს დირექტორის მოადგილესთან სასწავლო დარგში ამობეჭდილს და ხელმოწერილს შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. უწყისის მონაცემები აისახება უწყისების აღრიცხვის ჟურნალში, ხოლო მტკიცებულებები განთავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფолიოში;

3.პროგრამის დასრულების შემდეგ, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის შემდეგ, პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.

4. შეფასების მტკიცებულებები (გარდა სტატუსშეჩერებული სტუდენტების მტკიცებულებებისა) ინახება 3 წლის ვადით, შემდეგ კი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს ან განადგურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აქტის საფუძველზე.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

**შეფასების ინსტრუმენტის ფორმა**

1.	პროგრამის დასახელება:	
2.	მოდულის დასახელება:	
3.	სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი:	
4.	შეფასების მიმართულება და შეფასების ინსტრუმენტი:	<p>ჩაწერეთ რომელი მიმართულების ფარგლებში აწარმოებთ შეფასებას.</p> <p>ჩაწერეთ შეფასების ინსტრუმენტის დასახელება. მაგ. ტესტი/პრაქტიკული დავალება/როლური თამაში ან სხვა.</p>
5.	დავალების აღწერა:	<p>აღწერეთ შესასრულებელი დავალება მოკლედ ( დანართი დავალების შესრულების ინსტრუქცია: აღწერეთ დავალების არსი და მისი შესრულების თარმიმდევრობა:</p> <p>რა და როგორ შესასრულოს გამოსაცდელმა პირმა; მიუთითეთ დავალების შესრულებისთვის გამოყოფილი დრო. საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ დავალების შესრულებისათვის საჭირო გარემო და რესურსები.</p>
6.	მტკიცებულება:	<p>მიუთითეთ რა სახის მტკიცებულება იქნება წარმოდგენილი (მაგ. შევსებული ტესტი, შესრულებული ნაკეთობა, პროექტი, პორტფолიო და ა.შ.) მტკიცებულება შესაძლებელია იყოს როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული ფორმით.</p>
7.	შეფასებისთვის განკუთვნილი დრო	
8.	სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმის დადასტურება:	<p>აღწერეთ დადასტურების პირობა:</p> <p>დავალების დადასტურების პირობები დაწვრილებით აღწერეთ, რა შემთხვევაში ჩაეთვლება სტუდენტს სწავლის შედეგი დადასტურებულად;</p>
9.	განმეორებითი შეფასების პირობები	განმეორებითი შეფასება შესაძლებლობა, ვადა
10.	შეფასების ინსტრუმენტის ავტორი/ავტორები:	

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საერთო უწყისის ფორმა

უწყისი №\_

პროგრამა:

მოდული:

მასწავლებელი:

№	სტუდენტის სახელი და გვარი	შედეგი (დადასტურდა/არ დადასტურდა)

პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა :

თარიღი:

ა(ა)იპ საქართველოს საპატიოარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

### **კალენდარული გეგმა**

პროფესიული პროგრამა:

პროფესიული მოდული:

კრედიტი:

საათების განაწილება მოდულის მიხედვით:

მოდულის განმახორციელებელი:

მოდულის განხორციელების პერიოდი:

კვ. №	თარიღი	განსახორციელებელი აქტივობა/თემატიკა/ სწავლების მეთოდი/შეფასების მიდგომა	საკონტაქტო საათების რ-ბა	სასწავლო გარემო /საჭირო რესურსები	სწავლის შედეგის ნომერი	განმახორციელებლის ჩანაწერები
<b>სულ საათების რაოდენობა</b>						

განმახორციელებლის შენიშვნები, წინადადებები, რეკომენდაციები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით<sup>1</sup>:

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

<sup>1</sup> ივსება მოდულის მიმდინარეობის პროცესში ან მოდულის დასრულების შემდეგ

## შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ფორმა

მოდულის სახელწოდება: -----

შეფასების ინსტრუმენტის ავტორი/ავტორები: -----

	კითხვები	დიახ	არა
1.	პროგრამა და მოდული ზუსტადაა დაფიქსირებული		
2.	შეფასების მიმართულება სწორადაა მითითებული		
3.	მიცემული დრო საკმარისია დავალების შესრულებისთვის		
4.	შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდაა განსაზღვრული		
5.	დავალება სრულად შეესაბამება მისაღწევ შედეგს		
6.	დავალება პასუხობს კონკრეტული შეფასების მოთხოვნებს		
7.	პროფესიული სტუდენტისთვის გასაგებია რა მტკიცებულება უნდა წარადგინოს		

რეკომენდაციები:

## კალენდარული გეგმის შემოწმების ფორმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: \_\_\_\_\_

მოდული: \_\_\_\_\_

მასწავლებელი:

შევსების თარიღი:

	შესაფასებელი ინფორმაცია	დიახ	არა
	სწორად არის მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება		
	სწორად არის მითითებული მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი		
	სწორად არის მითითებული მოდულის კრედიტების რაოდენობა		
	კალენდარული გეგმა შევსებულია სრულად		
	სასწავლო დატვირთვის განაწილება სრულად შეესაბამება პროგრამის სასწავლო გეგმას		
	სწორად არის გადანაწილებული სასწავლო დატვირთვა სასწავლო კვირეების (დღე, თვე, თარიღი) მიხედვით		
	კალენდარული გეგმის თემატიკა და შინაარსი სრულად შეესაბამება მოდულის თემატიკასა და შინაარსს		
	სწავლების მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება მოდულში მითითებულს		
	შეფასების მეთოდი სრულად შეესაბამება მოდულში მითითებულს		
	საჭირო რესურსები გაწერილია თემატიკის შესაბამისად		

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

## საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი

პროგრამის დასახელება:

მოდულის დასახელება:

საკონტაქტო საათის ფორმატი:

პროფესიული მასწავლებელი:

ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა:

მეცადინეობაზე სტუდენტთა რაოდენობა:

		შესაბამისია	შეუსაბამოა	ნაწილობრივ შესაბამისია
1	საკონტაქტო საათის თემის შესაბამისობა წინასწარ გაწერილ კალენდარულ გეგმასთან			
	კომენტარი			
2	გაკვეთილის სტრუქტურის შესაბამისობა გაკვეთილის მიზანთან (საორგანიზაციო ეტაპი, აქცენტი წინარე ცოდნაზე, მასალის შესწავლა/ახალი უნარების ათვისება; სწავლის შედეგების განმტკიცება;)			
	კომენტარი			
3	პროფესიული მასწავლებელის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული მეთოდებისა და აქტივობების შესაბამისობა სწავლების მიზანთან			
	კომენტარი			

4	რეალურად დახარჯული დროის შესაბამისობა მოდულის ჩანაწერებთან			
	კომენტარი			
5	სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასწავლო მასალებით და საგანმანათლებლო რესურსებით			
	კომენტარი			
6	სასწავლო გარემოს შესაბამისობა სწავლების მიზანთან			
	კომენტარი			
7	სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების ხელშეწყობა (მათ შორის სსსმ სტუდენტების)			
	კომენტარი			
8	საკონტაქტო საათის მიმდინარეობისას სტუდენტთა ჩართულობა შესაბამისია სწავლების თანამედროვე მოთხოვნების			
	კომენტარი			

## შემაჯამებელი საბოლოო უწყისის ფორმა

პროგრამის დასახელება

(20 - - - 20 - -) -

სსსმ პირისთვის ადაპტირებული პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმა

ა(ა)იპ საქართველოს საპატირიარქოს დეკორატიული  
მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი



N(N)LE The Georgian Patriarchate Community  
College of Decorative Gardening

## სერტიფიკატი

CM/SN 593

ადასტურებს, რომ

დაასრულა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე  
პირებისთვის ადაპტირებული პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამა „-----“

დირექტორი  
Director

ზურაბ შევარდნაძე  
Zurab Shevardnadze

## CERTIFICATE

CM/SN 593

certifies that

Completed the “-----” Vocational Educational  
Program Adapted for Persons with Special Educational  
Needs

ბ.ა.  
Seal

სერტიფიკატი ძალაშია დანართთან ერთად  
The certificate is valid with an attachment

თბილისი  
Tbilisi

რიცხვი /day

თვე/month

წელი/year

სარეგისტრაციო № .....  
Registration



ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

**სერტიფიკატის დანართი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

სერტიფიკატი N ----

გვარი, სახელი	
პირადი №	
დაბადების თარიღი	
ჯგუფის №	
ჩარიცხვის ბრძანება	
მიმღინარე ბრძანებები	
სერტიფიკატის მინიჭების ოქმი	

**დაზუსტებული/ მოდიფიცირებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში  
შეძენილი ცოდნა-უნარები/ კომპეტენციები**

მოდული	სწავლის შედეგები	პროფესიული სტუდენტის მიერ სტანდარტული მოდულის ფარგლებში შეძენილი ცოდნა- უნარები/კომპეტენციები	პროფესიული სტუდენტის მიერ დაზუსტებული/ მოდიფიცირებული მოდულის ფარგლებში შეძენილი ცოდნა- უნარები/კომპეტენციები	მასწავლებელი	ხელმოწერა
	1.	1.			
		2.			
		3.			
	2.	1.			
		2.			
		3.			
	3.	1.			
		2.			
		3.			

